ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №248150

ნომერი: AR158189

თარიღი : 12.06.2012

გაცემის თარიღი : 06.07.2012

გაცნობის თარიღი : 12.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გურამიშვილის მეტროდან დიდ დიღომში მიმავალ მაგისტრალსა და ღვინის ქარხანას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ერემო კაკაურიძე პ/ნ 01001052854
- თბილისი ე.ანდრონიკაშვილის ქ. N 81

ორგანიზაცია:
- შპს "საჭე92" კოდი: 209439730

ნომენკლატურა :

- რესტორანი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: არსებული შენობის რეკონსტრუქცია
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ა.რაზმაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ინდ/მეწარმე "ა.რაზმაძე"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 01005006177

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ერემო კაკაურიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001052854
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "საჭე-92"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 209439730

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 565 01/2670
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.09.2011

თბილისის არქიტექტურის სამსახურის, თბილისის მერიის სსიპ–ის მიერ 2010 წლის 24 სექტემბერს #01/2132 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (გლდანი), გურამიშვილის მეტროდან დიდ დიღომში მიმავალ მაგისტრალსა და ღვინის ქარხანას შორის, შ.პ.ს. ,,საჭე–92"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი და გაიცა #ნ/2348–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა. სამსახურის მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე 2010 წლის 17 ნოემბერს #01/2617 ბრძანებით მოხდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და გაიცა #ნ/2846–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა. 2011 წლის 06 სექტემბერს #01/2670 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა #ნ/2803–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო2011 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით. სამსახურის 19.10.2011 წლის და 17.02.2012 წლის #4233 და #565 ბრძანებებით აღნიშნულ მისამართზე მოხდა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2012 წლის 12 ივნისს შემოვიდა შ.პ.ს. ,,საჭე–92"–ის დირექტორის ე. კაკაურიძის #არ158189 ელექტრონული განცხადება, ელექტრონულად ატვირთული არსებული სიტუაციის ამსახველი ფერადი ფოტო მასალა და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის კალენდარული გრაფიკი დარჩენილ სამუშაოებზე, რომლის საფუძველზეც განმცხადებელი ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას.

სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და და გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების #57–ე მუხლის მოთხოვნებს გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება თბილისის არქიტექტურის სამსახურის, 2011 წლის 06 სექტემბრის #01/2670 ბრძანებას და #ნ/2803–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, ,,ნებართვა ძალაშია 2011 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2012 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით"
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას თბილისის არქიტექტურის სამსახურის, თბილისის მერიის სსიპ–ის 06.09.2011 წლის #01/2670 ბრძანებასა და #ნ/2803–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.